MES 4 22 0001302865

17/10/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30. 09. 2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი(I, II, III, IV, V, VII, VIII, IX საკითხები)
სხდომის თავჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი (VI)
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში'

10. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
14. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
17. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის: პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ედვინი სირბილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების და სახელება	სტატუსი	საკითხი
1	ლალი ტაბატაძე	**სსიპ - "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი"**	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	ზურაბ ფაჩულია		პროფესორი	I
3	ნესტან კეკელია		ფაკულტეტის დეკანი	I
4	მარინა ზარქუა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	რომეო გალდავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
8	მაკა მურვანიძე		საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია"	II

			ხელმძღვანელი, კოორდინატორი, პროფესორი	
9	გიორგი მახარაძე		ქიმიის დოქტორი, საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია" ხელმძღვანელი	II
10	ვაჟა ტრაპაიძე	სსიპ - "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია" ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
11	გიორგი ბრეგვაძე		ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, ასისტენტ პროფესორი	II
12	თამარ ჭელიძე		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II
13	ირმა გრძელიძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
14	ნინო ქიმერიძე	"	თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	II
15	დიმიტრი კორძაია		პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	III
22	მაია ბიწკინაშვილი		ასოც. პროფესორი, მედიცინის ფალულტეტის დეკანის	III
23	პაატა იმნაძე		პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი	III
24	ნინო ჩიხლაძე		პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	III

			უფროსი, სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“(ინგლისურენოვანი) ხელმძღვანელი	
25	ნატა ყაზახაშვილი		პროფესორი სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ ხელმძღვანელი	**III**
26	ნატო ფიცხელაური		მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	**III**
27	მაკა ჯორბენაძე		ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამყვალი სპეციალისტი	**III**
28	ირმა გრძელიძე		ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
29	ნინო ქიმერიძე		ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	**III**
30	ირმა შიოშვილი	**სსიპ - “იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი”**	რექტორი	**IV**
31	შალვა ჭკადუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**
32	ია ჯიმშიტაშვილი		ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო	**IV**

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
33	რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე		ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
34	თამარ თამარაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი	**IV**
35	კობა გელაშვილი	**ა(ა)იპ - "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"**	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
36	პაატა გოგიშვილი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითრების სამსახურის უფროსი	**V**
37	ნინო ჯოჯუა	**შპს - "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"**	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით, ასოცირებული პროფესორი	**VI**
38	დალი ოსეფაშვილი		შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით, ასოცირებული პროფესორი	**VI**
39	თეა კბილცეცხლაშვილი			**VI**

			ვიცე რექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	
40	მამუკა თავხელიძე	**შპს - "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"**	უნივერსიტეტის რექტორი	**VII**
41	გიორგი მირიანაშვილი		რექტორის მოადგილე	**VII**
42	ანა თეგეთაშვილი		მედიცინის სკოლის დეკანი	**VII**
43	ნინო გორდელაძე		მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი	**VII**
44	მოგელი შენგელია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VII**
45	ვლადიმერ ღლონტი	**სსიპ - "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"**	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**VIII**
46	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	**VIII**
47	ნანი მამულაძე		ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VIII**
48	დალი მახარაძე		ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,მათემატიკა" ხელმძღვანელი	**VIII**

49	დიანა მჭედლიშვილი	**შპს - "კავკასიის უნივერსიტეტი"**	ხარისხის სამსახურის უფროსი	**IX**
50	შოთა ნიჟარაძე		კავკასიის ტექნოლოგიის სკოლის ხელმძღვანელი	**IX**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექ ტრონულისაშუალ ებითმონაწილეობ ისშესახებ**	**საკითხი**
1	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ელინა ბაქრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	არჩილ მაღალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	გიორგი მღვდელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
7	ჯილდა ჭეიშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მაია აზმაიფარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	თორნიკე ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ნატო ასათიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
15	ლიანა საღინაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
16	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
17	მაგდა ცინცაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოორგანული ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საზოგადოებრივი ჯანდაცვის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, "ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მათემატიკის” საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესსრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოორგანული ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საზოგადოებრივი ჯანდაცვის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, "ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მათემატიკის” საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესსრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1.პირველი საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოორგანული ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მესამე საფეხური
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS კრედიტი
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველო მეორე სასწავლო კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე ინგა ბოჭოიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება 1.1 კომპონენტს განაცხადა, რომ უნდა გადაიხედოს პროგრამის მიზნები და დაიწეროს იმ სახით, რომ გახდეს რეალისტური და მიღწევადი პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, მოხდეს მიზნების დაკონკრეტება და შინაარსობრივი გადაფარვების აღმოფხვრა. სწავლის შედეგი ფორმულირებულია თუ როგორ ხდება სინთეზირება რთული ბიომოლეკულის, ელექტრონული აღნაგობისა და ბიოქიმიური პროცესების კინეტიკური კვლევის, მათემატიკური მოდელირებისა და ორგანულ ნაერთთა რეაქციის უნარიანობა სინთეზირებულ პროდუქტთა სრული ჩვენებით, კომპიუტერული მულტი-პროცესორული კლასტერულის სისტემით და ა.შ. ინგა ბოჭოიძემ დამატებით აღნიშნა, რომ რთული იქნება ამ სწავლის შედეგის მიღწევა იქიდან გამომდინარე, რომ მათემატიკური მოდელირება არის არჩევითი სასწავლო კურსი, ისევე როგორც ორგანულ ნაერთთა რეაქციის

უნარიანობა და კინეტიკური კვლევა. ინგა ბოჭოიძემ დამატებით აღნიშნა, რომ გარკვეული გადაფარვები იყო მიზნების განსაზღვრის პროცესში. მიზანი, რომელიც ემსახურება სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გააქტიურებას, გაზომვადობის თვალსაზრისით გულისხმობს აქტიურობის გაზომვას და, შესაბამისად, მათი რეკომენდაცია 1.1 კომპონენტთან მიმართებაში ამ სახით არის ჩამოყალიბებული. აგრეთვე, მან ხაზი გაუსვა 1.2 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციას, რომელიც ეხება მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების სრულად ასახვას. ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ არსებობდა გარკვეულ უზუსტობები სქემის მიხედვით მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რომელიც გარკვეულწილად ტექნიკურ საკითხსაც წარმოადგენდა, თუმცა მოცემული საკითხი შესასწორებელი იყო. მან დამატებით აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ფორმულირებული იყო იმ სახით, რომ მათი გაზომვა შეიძლება ყოფილიყო პრობლემური. მან განმარტა, რომ სამდონიანი სწავლის შედეგების გასვლასთან მიმართებაში სემესტრულ განაწილებასა და მიღწევის მეთოდებს შორის აცდენა იყო, რომელსაც, ასევე, სჭირდება გასწორება. ასევე, მან ყურადღება გაამახვილა 2.1 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციაზე, რომელშიც საუბარი იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაზუსტებასთან და სადისერტაციო თემის წინასწარ მონახაზთან და გასაუბრებასთან დაკავშირებით, მან დამატებით აღნიშნა, რომ ამ კომპონენტთან მიმართებით, ასევე, გადასახედი იყო სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. წინაპირობად განსაზღვრულია სადისერტაციო თემის წინასწარი მონახაზი, თუმცა დოქტორანტი უკვე მესამე სემესტრიდან ირჩევს სადისერტაციო თემას და, შესაბამისად, ეს გარკვეულწილად დასაზუსტებელია. შეფასების კრიტერიუმები წინასწარი მონახაზის წარდგენის შემთხვევაშიც და გასაუბრებაშიც ერთმანეთის მსგავსია, გარდა კომუნიკაციის უნარისა. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ უნდა გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ბიოორგანულ ნაერთთა მას-სპექტრომეტრული და ქრომატოგრაფიული კვლევა“, „ბიოორგანულ ნაერთთა ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული კვლევა“, და „ორგანულ ნაერთთა რეაქციისუნარიანობა და კინეტიკური კვლევა“ სტატუსი და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. გადაიხედოს „პროფესორის ასისტირების“ სასწავლო კომპონენტის კრედიტების მინიჭების, მათი სემესტრული განაწილების საკითხი და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მინისტრის №3 ბრძანებასთან. სასწავლო გეგმაში არის 9 კრედიტი და აქედან პირველ სემესტრში არის 6 კრედიტი და მეორე სემესტრში 3 კრედიტი. ექსპერტებს ამ სასწავლო კურსების სილაბუსები ხელთ არ ჰქონდათ და ვერ იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ იყო სწავლის შედეგები განსაზღვრული სემესტრულ განაწილებასთან დაკავშირებით. ასევე მან ყურადღება გაამახვილა 2.3 კომპონენტზე, რომლის მიმართ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხება ზოგიერთი სასწავლო კურსის, მათ შორის „ბიოორგანულ ნაერთთა კვლევა ქვანტურ-ქიმიური მოდელირებით (მოლეკულური ორბიტალების, ნახევრადემპირიული, არაემპირიული და სიმკვრივის ფუნქციონალის მეთოდი)“, „ბიოქიმიურად მნიშვნელოვან ბიოორგანულ ნაერთთა სინთეზი და კვლევა თანამედროვე მეთოდებით, რეაქციათა მექანიზმებით“, სწავლის კურსის შინაარსთან სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. მეორე რეკომენდაცია ეხება პროგრამით განსაზღვრულ „სემინარი 1“ და „სემინარი 2“ -ის სილაბუსების დაწერას, შესაბამისი სწავლის შედეგების მითითებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო რეგულაცია ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს, თუმცა კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია სტუდენტმაც იცოდეს სწავლის რა შედეგს მიაღწევს. ექსპერტებს ინტერვიუს პროცესში ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ შეხვედროდნენ პარტნიორ-კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც დაასაბუთეს და რეალური თანამშრომლობის მექანიზმები დაადასტურეს დაწესებულებასთან, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მათთან გაფორმებული მემორანდუმები განახლდეს და მიეთითოს წარმოდგენილი პროგრამის და შესაბამისი კომპონენტის განხორციელების საკითხი. 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე აღნიშნავს, რომ

გადაიხედოს სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, მინიმალური კომპეტენციების ზღვართან მიმართებით და გაიწეროს კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით. ასევე 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით ექპერტთა რეკომენდაცია ეხება, რომ გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, რეალურ შემოსავალზე და საჭიროებებზე გათვლით და განისაზღვროს დამატებითი რესურსები პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. რეალურად პროგრამის განვითარებისათვის 2021 და 2022 სასწავლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა დაწესებულების მხრიდან. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა პროგრამის მხარდაჭერა დაადასტურეს, თუმცა მდგრადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შემოსავალთან ერთად დამატებითი რესურსიც იყოს განსაზღვრული. 5.1 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტთა რეკომენდაცია ეხება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა, ჩაატარონ მიზნობრივი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების (მათ შორის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების) შემუშავების პროცესში თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობის გაზრდის მიზნით. ამ რეკომენდაციის საჭიროება ინტერვიუს პროცესიდან გამომდინარე გამოიკვეთა და, შესაბამისად, ჩამოყალიბდა ამ სახით. ასევე მან ხაზი გაუსვა 5.2 კომპონენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განაახლოს პროგრამის გარე შეფასების საუნივერსიტეტო ფორმა, მასში ასახოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული შესაფასებელი საკითხები, შესაბამისი ინდიკატორებით. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის თქმით, უნივერსიტეტიდან მიიღეს არგუმენტირებული პოზიცია. რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ახლაც მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც იძლევა იმის საფუძველს, რომ დაწესებულებას შეუძლია მალე გამოასწოროს ეს საკითხები, რომლებიც მითითებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მზად არის განვითარებისათვის და პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დანართი, რომელშიც ნახსენებია ტერმინი „სამეცნიერო კრედიტი“ მათთვის აქამდე უცნობი იყო და რეკომენდაციის მიღების შემდეგ გაითვალისწინეს და გამოასწორეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით თუ რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით?

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვით მიმართა ინსტიტუციას, არის თუ არა მზად დაწესებულება კვლევების დაფინანსების კუთხით?

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, 3.2 კომპონენტის მიხედვით არის თუ არა საკმარისი ის აკადემიური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს ინსტიტუციას? პარტნიორების არ არსებობის შემთხვევაში , ინსტიტუციას ექნებოდა თუ არა არსებული რესურსის ფარგლებში კვლევითი ლაბორატორიული საქმიანობების წარმოების შესაძლებლობა? ასევე, სამეცნიერო-კვლევით მუხლის შესაბამის ნაწილში თანხა არ არის მითითებული. ინსტიტუცია დაფინანსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან აპირებს თუ ეს ჯერ განსაზღვრული არ არის?

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანის დასმულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის პროგრამას არ აქვს აკადემიური უზრუნველყოფის პრობლემა იმიტომ, რომ იგეგმება 3-4 სტუდენტზე, მაგრამ შემდეგ თუ ინსტიტუცია გადაწყვეტს, რომ უფრო მეტი დოქტორანტი მიიღოს ნამდვილად დასჭირდებათ დამატებითი სადოქტორო გეგმის შემუშავება. რაც შეეხება მატერიალურ ბაზას, პროგრამის

კომპონენტები როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი მოიცავს სინთეზისა და ანალიზის საკითხებს. სინთეზთან და ანალიზთან მიმართებაში გარკვეულ ხელსაწყოებით ინსტიტუცია უზრუნველყოფილია. მათ ბოლო წელსაც შეიძინეს რამდენიმე ასეთი ხელსაწყო, თუმცა პარტნიორების ჩართულობა მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის კვლევებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, თუმცა ეს პროგრამის განხორციელებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ, ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა ძალიან დაბალია. სტუდენტები თუ დაინტერესდებიან ამ მიმართულებით, დარგისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. პროგრამის ბიუჯეტი ნაწილობრივ შეიძლება იყოს გამოყოფილი, მაგრამ ინსტიტუციას გააჩნია ფაკულტეტის ბიუჯეტში თანხები, რომელიც ბოლო წლებში ძალიან დიდი სახსრები გაიღეს და უკვე მზად არიან ამ მიმართულების განვითარებაში ჩაერთონ. ინსტიტუციის წარმომადგენელი ხაზს უსვამს იმას, თუ რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. განსაკუთრებით სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებზე არის გამოყოფილი სახსრები ბიუჯეტში.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, აღნიშნა, რომ ეს პროგრამა არის ახალი და ამ ეტაპზე მათ სტუდენტები არ ჰყავთ. ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება, რომ გასაუბრებოდნენ სხვა სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც ასეთ პროექტებში ჩართულობა დაადასტურეს.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ინსტიტუციას მიმართა კითხვით თუ აქვთ დაშვების წინაპირობად თუ აქვთ განსაზღვრული სამეცნიერო ნაშრომები და რომელი ჟურნალებით არიან დაინტერესებულნი, ასევე მოუწოდა ექსპერტებს მეტად განემარტათ ინფორმაცია სადოქტორო სემინარებთან დაკავშირებით, რათა უკეთესი წარმოდგენა შეექმნათ საბჭოს წევრებს.

ინგა ბოჭოიძემ განმარტა, რომ მე-3 ბრძანების შესაბამისად კრედიტის მინიჭების საფუძველი არის სწავლის შედეგები და ექსპერტებმა წარმოდგენილ სასწავლო სილაბუსებში ვერ ნახეს „სემინარი 1“ და „სემინარი 2“ სილაბუსები და აქედან გამომდინარე შეიმუშავეს მათ რეკომენდაცია. რაც შეეხება მიღების წინაპირობის საკითხს, სტუდენტმა კვლევითი აქტივობების მონახაზი უნდა წარმოადგინოს. მესამე სემესტრში თემა უნდა დამტკიცდეს, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს მონახაზი და შემდგომი თემა აცდენაში იყოს. თუ არ ემთხვევა ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის ხედვა მონახაზსა და თემას შორის, სტუდენტი ვერ ჩააბარებს ამ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლალი ტაბატაძემ განმარტება გააკეთა წინასწარ მონახაზთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ბიოორგანული ქიმია არის ორგანული ქიმიის მიმართულება. ქიმიის სფერო მრავალფეროვანია და აქ არის კონკრეტული მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. არ შეიძლება ამ მონახაზის დროს ჩართული იყოს და გულისხმობდეს არაორგანულ ნაერთებს, რადგან კომისიის წევრები, პროგრამის პერსონალის კვლევის სფერო სწორედ ბიოორგანული და ორგანული მიმართულებითაა. ამას განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამის სახელწოდებაც. ისინი არ ზღუდავენ გარედან მოსულ სტუდენტს, თუმცა სახელწოდება ბიოორგანული ქიმია უკვე გულისხმობს წინასაწარი მონახაზის წარმოდგენას. ლალი ტაბატაძემ აღნიშნა, რომ მათ რიგი რეკომენდაციები ჩაასწორეს და ზოგიერთ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. გამომდინარე იქიდან, რომ სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნები გულისხმობს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და ინდექსირებად ბაზებში გამოქვეყნებულ მინიმუმ 2-3 სამეცნიერო ნაშრომს, მათ მიაჩნიათ რომ პროგრამის მიზნები არის რეალისტური, მიღწევადი, თუმცა რიგი საკითხები, სილაბუსების შედეგებთან დაკავშირებით და ტექნიკურ გადაფარვებთან დაკავშირებით დაკონკრეტდა და აღმოიფხვრა. როგორც დაწესებულება აღნიშნავს, პროგრამის სწავლის შედეგების რუქა წარმოადგენს პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალის ხედვას, რომელიც მეტწილად

მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართებას ასახავს. არჩევით დისციპლინებთან მოხდა დაკორექტირება და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გაიზიარა დაწესებულებამ. მოხდა, ასევე, კორექტირება სილაბუსებში, კურიკულუმში, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქაში. გრძელდება მუშაობა „სემინარ 1“ და „სემინარი 2“ სილაბუსებზე. დაწესებულებას ქიმიური მიმართულებით წამყვან კვლევით ინსტიტუტებთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული. ბიუჯეტი შედგა სექტემბერ-ოქტომბერში იმიტომ, რომ ფასებთან დაკავშირებით ბევრი ცვლილება განხორციელდა და ბიუჯეტი დაკორექტირდა. პროგრამა არის ახალი და მიმდინარეობს მუშაობა. ასევე ვერ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულყოფილად გამოყენებული, რადგან პროგრამა არის ახალი.
საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ინსტიტუციას თუ რამდენი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება გააჩნიათ დოქტორანტებს და რომელ ჟურნალებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლალი ტაბატაძემ აღნიშნა, რომ დაცვის წინ აუცილებელია დოქტორანტს ჰქონდეს გამოქვეყნებული მინიმუმ ორი სამეცნიერო ნაშრომი ინდექსირებად ჟურნალში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:07

დასრულების დრო: 14:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოორგანული ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-9 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოორგანული ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია პირობით 2 წლის ვადით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები და გაიწეროს იმ სახით, რომ გახდეს უფრო რეალისტური და მიღწევადი, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, ასევე, განხორციელდეს მიზნების დაკონკრეტება და შინაარსობრივი გადაფარვების აღმოფხვრა.
2. გადაიხედოს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ სრულად აისახოს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება;

3. გადაიხედოს პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგი, მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
4. გადამუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების რუკა და გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.
5. გასწორდეს საუნივერსიტეტო რეგულაციებში („სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ - დანართი 1 და „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი“) ჩანაწერი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებით და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან;
6. გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ბიოორგანულ ნაერთთა მას-სპექტრომეტრული და ქრომატოგრაფიული კვლევა“, „ბიოორგანულ ნაერთთა ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული კვლევა“, და „ორგანულ ნაერთთა რეაქციის უნარიანობა და კინეტიკური კვლევა“ სტატუსი და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან;
7. გადაიხედოს „პროფესორის ასისტირების“ სასწავლო კომპონენტის კრედიტების მინიჭების, მათი სემესტრული განაწილების საკითხი და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან.
8. გადამუშავდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის, მათ შორის „ბიოორგანულ ნაერთთა კვლევა ქვანტურ-ქიმიური მოდელირებით (მოლეკულური ორბიტალების, ნახევრად ემპირიული, არაემპირიული (ab initio) და სიმკვრივის ფუნქციონალის მეთოდი)“, „ბიოქიმიურად მნიშვნელოვან ბიოორგანულ ნაერთთა სინთეზი და კვლევა თანამედროვე მეთოდებით, რეაქციათა მექანიზმებით“, სწავლის შედეგები, ამავე კურსის შინაარსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
9. გაიწეროს სასწავლო კომპონენტების „სემინარი 1“ და „სემინარი 2“ სილაბუსები, შესაბამისი სწავლის შედეგებით, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად
10. განახლდეს პარტნიორ კვლევით ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები, გაფართოვდეს ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა, წარმოდგენილი პროგრამის და შესაბამისი კომპონენტების განხორციელების მითითებით.
11. გადაიხედოს სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, მინიმალურ კომპეტენციების ზღვართან მიმართებით და გაიწეროს ის კურსის სპეციფიკის და სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.
12. გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი, რეალურ შემოსავალზე და საჭიროებებზე გათვლით და განისაზღვროს დამატებითი რესურსები პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.
13. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა, ჩაატარონ მიზნობრივი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების (მათ შორის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების) შემუშავების პროცესში თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობის გაზრდის მიზნით;
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განაახლოს პროგრამის გარე შეფასების საუნივერსიტეტო ფორმა, მასში ასახოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული შესაფასებელი საკითხები, შესაბამისი ინდიკატორებით.

რჩევები:

1. სასურველია, სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოიკვეთოს წარმოდგენილი პროგრამის სპეციფიკა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებული იქნას ბლუმის ტაქსონომია და შესაბამისი აქტიური ზმნები;

2. სასურველია, დამატებით დაიგეგმოს და განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები, სწავლის შედეგების ფორმირების, გაზომვის და ანალიზის მიმართულებებით.
3. სასურველია, მიღების წინაპირობაში განსაზღვრული იყოს მხოლოდ პროგრამაზე დაშვების პირობები და ცალკე გაიწეროს წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
4. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციაში.
5. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მიეთითოს უფრო მრავალფეროვანი ლიტერატურა, აკადემიური სტილის დაცვით, გადამოწმდეს და სწორად მიეთითოს შესაბამისი ინტერნეტ-რესურსები.
6. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში, სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილში, მეტად გამოიკვეთოს კურსის შინაარსზე მორგებული სწავლის მეთოდები და აქტივობები.
7. სასურველია, გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის გაუმჯობესებასთან მიმართებით.
8. სასურველია, პროგრამა გაძლიერდეს ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელსაც ექნებათ სადოქტორო ნაშრომის მომზადებისათვის აუცილებელი კომპეტენციები, მათ შორის პუბლიკაციები მაღალი IF-ის მქონე ჟურნალებში.
9. სასურველია, პროგრამა გაძლიერდეს, როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად ისეთი აკადემიური პერსონალით, რომლებსაც ექნებათ პუბლიკაციები სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში (Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში) და აკადემიური პერსონალის არჩევისას გაითვალისწინონ ეს ფაქტორი.
10. სასურველია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება განხორციელდეს ინდივიდუალურად, შეფასების შედეგების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
11. სასურველია, კონკრეტულად გაიწეროს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების რეაგირების მექანიზმები, მათ შორის პერსონალის წახალისების მექანიზმები.
12. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორი კვლევითი ორგანიზაციები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელსაწყო-დანადგარებით, რომელთა სარგებლობის შესაძლებლობაც სტუდენტებს ექნებათ, სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს საკუთარ ბაზაზე მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.
13. სასურველია, განხორციელდეს პროგრამის შიდა შეფასების ფორმის მოდიფიცირება. კერძოდ, განხორციელდეს პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, პროგრამას თანდართული დოკუმენტების შეფასების ინდიკატორების გამრავალფეროვნება, განახლებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სასურველია, შიდა შეფასების ფორმას დაემატოს ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების პროგრამაში (მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა) ასახვის, პროგრამის მიზნები/სწავლის შედეგების შინაარსისა და ფორმულირებების ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის დონესთან და აკრედიტაციის პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესახებ.
14. სასურველია, განხორციელდეს კითხვარების (განსაკუთრებით, აკადემიური პერსონალის კითხვარი) გადახედვა, კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტება. სასურველია ასევე, რომ ერთსა და იმავე კითხვაში არ იყოს მოქცეული 2 შესაფასებელი დებულება;

15. დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები სადისერტაციო თემის წინასწარ მონახაზთან და გასაუბრებასთან მიმართებით, ასევე გადასახედია მათი შეფასებისკრიტერიუმებიც.

2.მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N112121, 04/02/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური ენა
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	საქართველო,თბილისი, ბელიაშვილის №78; ვაჟა-ფშაველას გამზირი №44
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯილდა ჭეიშვილმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე აღწერდა სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციას. მან დამატებით აღნიშნა, რომ მასალების შესწავლის პროცესში საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა ინსტიტუციისგან. ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის მომზადების პროცესში ინსტიტუციის მხრიდან ჩართული იყო როგორც ადგილობრივი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე საერთაშორისო ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან და წამყვან უნივერსიტეტებიდან. საუბარია გერმანიაზე, შვედეთზე და ა.შ. ამ ანგარიშის მომზადების ექვსთვიან პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლები მივლინებაში იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის სლოვაკეთსა და ავსტრიაში. ამ პროცესშიც განიხილეს რეკომენდაციები სხვა საერთაშორისო ექსპერტთან ერთად. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ინსტიტუციას გააჩნია ძლიერი მხარე საერთაშორისო ჩართულობის მხრივ, რომლის დასტურია ამ პერიოდში მოპოვებული „ერაზმუს პლუსის“ გრანტი აღნიშნულ პროგრამაზე, რომელიც გულისხმობს პროგრამის განმახორციელებლების და სტუდენტების ჩართვას გაცვლით პროექტში შვედეთში. „ერაზმუს პლუსის“ გრანტის ვადაა 2025 წელი, რომელიც კიდევ უფრო უმატებს მოცემულ პროგრამას მდგრადობას. ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ გაიცა სამი რეკომენდაცია და სამი რჩევა. აღნიშნული რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინა ინსტიტუციამ.

პირველი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ საგნებში ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა. ეს არის სრულად შესრულებული, განახლებულია ლიტერატურა და მიზნები და სწავლის შედეგები მოდის შესაბამისობაში.

მეორე რეკომენდაციაში საუბარია, რომ ხელშეკრულებებში მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, სავარაუდო პრაქტიკანტების/მკვლევარების რაოდენობით. ინსტიტუცია პრაქტიკის კომპონენტს ახორციელებს ორ დაწესებულებაში. ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრსა და ლევან

საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ორივე ხელშეკრულებაში შედგა დამატებითი შეთანხმება, რომელშიც დაზუსტდა მიზნები და, ასევე, გამოიკვეთა პრაქტიკანტების რაოდენობა, რომელთა ჯამი 24-ს შეადგენს. დასკვნის მომზადების პროცესების პერიოდში ექსპერტმა დამატებით გამოითხოვა სტუდენტების რაოდენობა იმისათვის, რომ შეედარებინა თუ რამდენად საკმარისი იყო პრაქტიკის ობიექტი აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების მისაღებად. ინსტიტუციის მიერ მოწოდებული დამატებითი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეს კომპონენტი სრულად შესაბამისობაშია.

რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რეკომენდირებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება.აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო განსაზღვრა მეტი გამჭვირვალეობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის. ინსტიტუციამ ჯერ კიდევ ვიზიტის დროს წარმოადგინა შეფასების კრიტერიუმების აღწერა „სტუდენტების სახელმძღვანელო“, რომელიც ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყო ეს სწავლის დაწყებისთანავე. აღნიშნულ დოკუმენტში ქულობრივი რანჟირება იყო საკმაოდ მაღალი, თუმცა ახლად წარმოდგენილ დოკუმენტებში მოდიფიცირებულია ეს კომპონენტი და, შესაბამისად, ეს რეკომენდაციაც არის სრულად შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მხრიდან ორი რჩევა არ იყო გათვალისწინებული და ექსპერტების მიერ მიღებული რეკომენდაციების შედეგად და კონსულტაციების საფუძველზე იმსჯელეს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ ექსპერტების ვიზიტის დროს სილაბუსში დაემატა 2014 და 2019 წლებში გამოცემული ლიტერატურა. 2019 წლის სახელმძღვანელოები იმიტომ არ იყო მითითებული, რომ დიდი რაოდენობით იყო 2017 წლის სახელმძღვანელოები და მათ შორის კონცეპტუალური სხვაობა თითქმის არ იყო. შესაბამისად, განახლდა და ცვლილებები განხორციელდა სილაბუსებში. იგივე შეიძლება ითქვას ჯანდაცვის მენეჯმენტზეც, რომელსაც დაემატა 2017 წლის გამოცემა. რაც შეეხება „გლობალურ ჯანმრთელობას“, ახლაც მიმდინარეობს „გლობალური ჯანმრთელობის“ პროექტი ევროკავშირთან და შესაბამისი კონსულტაციები გაიარეს მათთან სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ექსპერტებთან ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ ისინი მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურას იყენებენ იმიტომ, რომ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია ძველი ლიტერატურის გამოყენება. ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია და ყველა ის წყარო, სტატიები, რომლებსაც იყენებს დაწესებულება სავალდებულო ლიტერატურაში შეიტანეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:42
დასრულების დრო: 15:52

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საზოგადოებრივი ჯანდაცვის” ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #430182 (12 აპრილი, 2022)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ეკოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა – 0521
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ მე-2 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

აცილება განაცხადა ირინა გველესიანმა, დავით ჩოჩიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ციცინო თურქაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭომ საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე. პირველი და მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეოთხე – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის მიზნების გაუმჯობესებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულებული რეკომენდაციები 6 თვის ვადაში. ხუთი რეკომენდაციიდან სამი შეფასდა როგორც შესრულებული. შესაბამისად, პირველი სტანდარტი – პროგრამის მიზნები, რომელიც იყო ექსპერტების მიერ შეფასებული როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან გადავიდა და გახდა შესაბამისობაში. რაც შეეხება ორ რეკომენდაციას, ერთი შეფასდა მეტწილად შესრულებულად, ხოლო მეორე – ნაწილობრივ შესრულებულად. მეორე სტანდარტის რეკომენდაციები სასწავლო კურსს ეხება და მდგომარეობს შემდეგში, რეკომენდირებულია გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების „ზოოლოგია“, „ბოტანიკა“, სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსურობის, ლაკონურობისა და სასწავლო კურსის ფარგლებში ამ შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველყოფით,რომელიც შეფასებულია ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეხუთე რეკომენდაცია იყო ის, რომ გაძლიერდეს სფეროს შესაბამისი პრაქტიკული უნარების სწავლება საველე პრაქტიკის ფორმატში და საველე პრაქტიკა გახდეს უფრო მეტად კომპლექსური, რომელშიც გარემოს კომპონენტების ორგანიზმებზე ზემოქმედება განხილული იქნება ეკოლოგიური ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ფიზიკის მიმართულებით. ექსპერტმა ციცინო თურქაძემ აღნიშნა რომ, დაწესებულებამ იმუშავა ამ რეკომენდაციებზე, თუმცა დარჩა გარკვეული საკითხები გასასწორებელი. ბოტანიკისა და ზოოლოგიის სასწავლო კურსებში გაცხადებული სწავლის შედეგები საჭიროებს მოდერნიზებას, რადგან ეს არის ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც პროგრამის სწავლის ძირითად შედეგზე გადიან. შეფასების ინდიკატორად არიან გამოყენებული და, შესაბამისად, ამ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების სწორად, ნათლად, ლოგიკურად და კომპლექსურად ფორმულირება არის ძალიან მნიშვნელოვანი. დაწესებულებას აქვს თავისი ხედვა სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფისთვის ამოსავალი იყო სტანდარტის მოთხოვნა. სწავლის შედეგი ისე არის ფორმულირებული სასწავლო კურსში, რომ თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა უნდა ფასდებოდეს. დასკვნაში წარმოდგენილია ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, რომელიც საჭიროებს მოდერნიზებას. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას ექსპერტი აღნიშნავს, რომ მეტწილად არის შესრულებული და ეხება საველე პრაქტიკის სილაბუსის გაუმჯობესებას,

რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა. რეკომენდირებულია, რომ შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული უნარების სწავლის შეფასებისას. მაგალითად, პრაქტიკის ანგარიში/პრეზენტაციაზე დაშვების წინაპირობა წერია : 11 ქულა. პრაქტიკის ანგარიში/პრეზენტაცია ჩაბარებულად ითვლება თუ სტუდენტი დააგროვებს შესაძლო 40 ქულის ნახევარს (20 ქულა), თუმცა პრაქტიკის ანგარიში და პრეზენტაცია გარკვეულწილად წარმოდგენილი არის ზეპირი გამოცდის სახით, რომელიც საჭიროებს მოდერნიზებას. იგი, ასევე, აღნიშნავს იმასაც, პრაქტიკის შეფასება მრავალკომპონენტიანია, მათ შორისაა: დასწრება - 20 ქულა, აქტიურობა - 30 ქულა, მასალის მოწესრიგება და კამერალური დამუშავება - 10 ქულა, საბოლოო გამოცდა - 40 ქულა, რომელიც ზეპირი ფორმისაა და ორ საკითხს მოიცავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის კომპლექსური, ლაკონური და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის რთული აღმოჩნდა გადაეწყვიტა თუ რა ცვლილებები შეეტანათ პროგრამაში. მაკა მურვანიძე აღნიშნა, რომ რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულია. მნიშვნელოვნად შეიცვალა სასწავლო კურსების „ბოტანიკისა“ და „ზოოლოგიის“ სილაბუსებში შეფასების ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ, ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული საგნები აღებულია ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომელმაც წარმატებით გაიარა აკრედიტაცია 2021წელს და დარგობრივი ექსპერტების (ბოტანიკოსი, ზოოლოგი, ბიოლოგი) მიერ ამ საგნებთან მიმართებაში შენიშვნა არ ყოფილა.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საველე პრაქტიკა არის ძალიან სპეციფიკური კომპონენტი, ამიტომ შეფასებაც არის სპეციფიკური და არა სტანდარტული. სტუდენტი ფასდება შესრულებული ლაბორატორიული სამუშაოებით. იმის გამო, რომ ეს პრაქტიკული კომპონენტია და არა თეორიული, საგამოცდო შეფასება ტარდება ზეპირად. ამიტომაც ეს კომპონენტი დაწესებულებას მიაჩნია, რომ უნდა დარჩეს იმ სახით, რომლითაც წარმოდგენილია სილაბუსში.

ექსპერტმა ციცინო თურქაძემ მიმართა მაკა მურვანიძეს თუ სად ჩანს პრაქტიკის ანგარიში?

რაზეც მაკა მურვანიძემ განაცხადა, რომ პრაქტიკის ანგარიში სტუდენტებთან ინდივიდუალურ გამოკითხვასა და მათ მიერვე შეგროვილი მასალის იდენტიფიკაციას ლექტორის თანდასწრებით გულისხმობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას, ხომ არ აჯობებდა, რომ სხვა საგნები ყოფილიყო მოცემული პროგრამის წინაპირობად? ასევე, რამდენი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს პრაქტიკა სალექციო კურსების პარალელურად? თუ ცალკეა გამოყოფილი კვირების რაოდენობა? თეა მჭედლურმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, სტუდენტები პრაქტიკის დღიურებს არ აწარმოებენ და არც ანგარიშს აკეთებენ და პრეზენტაცია მხოლოდ ზეპირი ფორმით არის?

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები პრაქტიკის დღიურებს აწარმოებენ და მათი წარმოდგენა აუცილებელ კომპონენტია. რაც შეეხება კვირების რაოდენობას, სასწავლო საველე პრაქტიკის გაწერა ვერ მოხდება 15 კვირის განმავლობაში, რადგანაც სავეგეტაციო სეზონს ეხება და რამდენიმე სამარშრუტო გასვლას კონკრეტული მიმართულებებით მოიცავს. არის სამი მარშრუტი სხვადასხვა რეგიონში, სადაც მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ სტუდენტები ველზე და მეორე დღეს მიდიან უნივერსიტეტში, სადაც ხდება კამერალური დამუშავება, როგორც ეს გათვალისწინებულია სილაბუსით.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა დამაზასუტებელი კითხვა დასვა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენ ხანს ანდომებენ სტუდენტები შესრულებულ სამუშაოს ველზე? ინსტიტუციამ

აღნიშნა, რომ სტუდენტები ველზე ექვსი საათის განმავლობაში იმყოფებიან. მათ წინაპირობად სილაბუსში უწერიათ ბიოლოგიის შესავალი და გეოგრაფიის შესავალი იმიტომ, რომ სტუდენტებს უკვე აქვთ ის საბაზისო წარმოდგენა ცოცხალი სამყაროს შესახებ და ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ საველე პრაქტიკა გაიარონ, მაგრამ როგორც საბჭოს წევრი თეა მჭედლური ამბობს, კარგი იქნებოდა თუ ეკოლოგიაც იქნებოდა წინაპირობად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:57

დასრულების დრო: 16:24

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს 60 დღიანი ვადა რეკომენდაციების გასწორების მიზნნით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით განესაზღვრა 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების განაცხადი - სტუდენტისათვის სხვადასხვა საკითხების გაცნობის შესახებ, შეიცვალოს ისე, რომ პროგრამის მიზნები ნათლად ასახავდეს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

2. რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართულ ქიმიის მიმართულების სასწავლო კურსებში (ქიმიის შესავალი, ქიმია, ეკოლოგიის ქიმიური ასპექტები) გაძლიერდეს პრაქტიკული უნარების განაცხადი და ამ უნარების განმავითარებელი აქტივობები, რაც გამოიხატება ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოების ფორმატით სწავლებაში.

3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „ქიმიის შესავალი" და „ქიმია" შინაარსობრივი გაუმჯობესება ისე, რომ არ იყოს საკითხების თანხვედრა.

4. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების „ზოოლოგია", „ბოტანიკა", სწავლის შედეგების ფორმულირება კომპლექსურობის, ლაკონურობისა და სასწავლო კურსის ფარგლებში ამ შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველყოფით.

5. გაძლიერდეს სფეროს შესაბამისი პრაქტიკული უნარების სწავლება საველე პრაქტიკის ფორმატში და საველე პრაქტიკა გახდეს უფრო მეტად კომპლექსური, რომელშიც გარემოს კომპონენტების ორგანიზმებზე ზემოქმედება განხილული იქნება ეკოლოგიური ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ფიზიკის მიმართულებით.

რჩევები:

1. პროგრამის მიზნებში პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხების ასახვა გააძლიერებს პროგრამას და ხელს შეუწყობს მის მდგრად განვითარებას.

2. ექსპერტთა რჩევაა სასწავლო კურსების მიზნების ფორმულირების გაუმჯობესება ისე, რომ მიზანი არ იყოს ორიენტირებული სტუდენტისათვის გარკვეული საკითხების მხოლოდ გაცნობაზე. ზოგადად, ყველა კურსის მიზანი მის მიერ ფორმულირებულ სწავლის შედეგებზე გასვლაა, შესაბამისად, სილაბუსებში საკვანძო მნიშვნელობა აქვს კურსის სწავლის შედეგების წარმოდგენას, ხოლო მიზანი განპირობებულია სწორედ ამ სწავლის შედეგებით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N26048; 25/01/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირიება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2200, ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

აცილება განაცხადა თეა მჭედლურმა

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს. დამატებულია საგნები არჩევით ბლოკში. ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსის შინაარსი ფუნდამენტალურად გადაიხედა და დაიხვეწა. სასწავლო კურსების სილაბუსებს დაემატა და განახლდა ლიტერატურა. სხვა კომპონენტები არ შეფასებულა არსებული წესის მიხედვით. საბოლოო ჯამში, მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.
საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვა დაუსვა ექსპერტთა თავჯდომარეს, არჩევით კომპონენტად უნდა იყოს თუ სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენილი ოპერაციათა მენეჯმენტი და მმართველობა? ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ მოცემულ სასწავლო კურსს სავალდებულო სასწავლო კურსებში გაწერდა, რადგანაც აღნიშნული კურსები ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს სჭირდება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამივე რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებული იყო და შესაბამისი მტკიცებულებები გაზიარებული იყო.
საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, მიმართა კითხვით ინსტიტუციას თუ რას ფიქრობენ ოპერაციათა მენეჯმენტთან ან მმართველობით აღრიცხვასთან დაკავშირებით? როდესაც ხდებოდა სასწავლო კურსების დამატება, რა იყო მოცემული სასწავლო კურსების დამატების საფუძველი?
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული სასწავლო კურსების დამატებასთან დაკავშირებით გაცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაცია, ექსპერტთა ჯგუფს დაკონკრეტებული არ ჰქონდათ სად მოიაზრებოდნენ კონკრეტული სასწავლო კურსების ჩასმას პროგრამაში, სავალდებულოდ თუ არჩევით გასავლელ საგნად. მან დამატებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაემრავალფეროვნებინათ არჩევითი საგნების ნუსხა და ორივე სასწავლო კურსი დაამატეს არჩევითი საგნების ნუსხაში.
საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დამაზუსტებელი კითხვა დასვა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რის საფუძველზე მოხდა ეს? ინსტიტუცია თუ სარგებლობს „ბენჩმარკინგით“, „აზრის კვლევით“ და ა.შ.?
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საგნების სავალდებულო კომპონენტში ჩასმა არ ეწინააღმდეგება სტუდენტების მიერ შედეგზე გასვლას, რომელიც გაწერილია პროგრამის შედეგებში. სავალდებულოება და არჩევითობა ხელს არ უშლის იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომელიც გაწერილი აქვთ პროგრამაში და, ამის შესაბამისად, დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ კონკრეტული სასწავლო კურსები დაემატებინა პროგრამის არჩევით საგნებს.

საბჭოს წევრმა ეკა ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, იფარება თუ არა კომპეტენციები მმართველობითი აღრიცხვისა და ოპერაციის მენეჯმენტის მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არის ფინანსური აღრიცხვის სრულფასოვანი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მენეჯმენტის სასწავლო კურსი. ორივე საგანი სავალდებულოა და, გარკვეულწილად, ამ საგნებში არის შესული საკითხები, რომლითაც ხდება კომპეტენციების დაფარვა.
ეკატერინე ნაცვლიშვილმა სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ დეტალურად შეისწავლა მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რამდენად შესრულდა დაწესებულების მიერ. გამომდინარე იქედან, რომ პროგრამაში ძირითადი სფეროს კურსები გაყოფილია სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებად, დაწესებულების წარმომადგენლებმა შეასრულეს რეკომენდაცია და დაამატეს მოცემული სასწავლო კურსები არჩევით საგნად. შესაბამისად, საბოლოოდ ხდება კომპეტენციების დაფარვა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:39

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის პირველი 2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 20 აგვისტო, გადაწყვეტილება #80818
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179 , ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 53 ა.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნანი არაბული მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო 12 რეკომენდაცია. რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი ეხებოდა პირველ სტანდარტს, სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს. თითქმის ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, გარდა ერთისა, რომელიც ეხება სასწავლო კურსებში წინაპირობების დამატების საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელი აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს. ერთ რეკომენდაციას რაც შეეხება, ექსპერტებმა ურჩიეს, რომ დაედგინათ წინაპირობები საგნებისათვის. პროგრამის საგნებს აქვთ და ჰქონდათ წინაპირობები „არარელაციური მონაცემთა ბაზებს“, „მანქანურ სწავლებას“, „პარალელურ დაპროგრამებას“ და ა.შ. რადგანაც მითითებული არ იყო კონკრეტული კურსი თუ რომელს გულისხმობდნენ ექსპერტები, დაწესებულებას მექანიკურად დაავიწყდა სამაგისტრო ნაშრომისთვის წინაპირობის მიწერა. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია. გადაიხედა ყველა საგანი და დაწესებულება ახლაც მიიჩნევს, რომ ადრე განსაზღვრული წინაპირობები ახლაც ძალაშია. სხვა საგნებს არ აქვთ წინაპირობები იმიტომ, რომ არ სჭირდებათ. არ არის აუცილებელი, რომ ყველა საგანი ერთმანეთს ებმეოდეს.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვით მიმართა ინსტიტუციას თუ კონკრეტულად რომელ სასწავლო კურსში მოხდა დაშვების წინაპირობების გათვალისწინება?

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომში ჰქონდათ ეს გამორჩენილი და სილაბუსს უკვე შეემატა აღნიშნული წინაპირობა. სამაგისტრო პროგრამას მკაცრი მიღების წინაპირობა აქვს, რომელიც იყო ექსპერტთა რეკომენდაცია, პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია, რომ სტუდენტს მათემატიკური საგანი ჰქონდეს 10 კრედიტის ოდენობით გავლილი, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები 10 კრედიტის ოდენობით ჰქონდეს გავლილი. პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია შიდა გამოცდა, რომლის საკითხები იმდაგვარად შედგენილია, რომ პროგრამაში რა საგნების გავლაც მოუწევს სტუდენტს, ყოველგვარი მომზადების გარეშე, რომ გაიაროს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:46
დასრულების დრო: 16:54

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული;

6. მეექვსე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, "ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2 0131 თბილისი, 13კმ დავით აღმაშენებლის ხეივანი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

აცილება განაცხადა გოდერძი ბუჩაშვილმა
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვნელა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნატა ასათიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით ოთხი სტანდარტი შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი იყო მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტებთან. ექსპერტების დასკვნაში საუბარი იყო 8 რეკომენდაციაზე და რვავე რეკომენდაციის სრულად გათვალისწინება მოხდა ინსტიტუციის მიერ. აქ იყო საუბარი იმაზე, რომ არჩევითი საგნები გადასულიყო სავალდებულო საგნის ჩამონათვალში, ასევე, დაზუსტებულიყო სწავლის შედეგები სასწავლო კურსებში და მთლიანად კურიკულუმშიც. ლიტერატურა უნდა ყოფილიყო განახლებული. ცალკეული შეფასებების შინაარსი, კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულიყო სილაბუსში. შესაბამისად, ინსტიტუციამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორიენტირებულნი არიან განვითარებაზე და ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა ინსტიტუციის მიმართ, ნამდვილად გამოადგება პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:11
დასრულების დრო: 17:16

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, "ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, "ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული;

7. მეშვიდე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019.08.01. N172 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის ქუჩა N3, თბილისი, 0159, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ირინე ფხაკაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ყველა გაცემული რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს, გარდა ერთი რეკომენდაციისა, რომელიც ეხება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკურ გამოცდას „OSCE“-ს, რომელიც სამედიცნო სკოლებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. “OSCE“ ცალკეულ სადგურებზე თანაბარი სიძლიერის გათვალისწინებით სტუდენტემბა თანაბარი დრო უნდა დაუთმონ თითოეულ სადგურს. კერძოდ, რომ არ ხდებოდეს საგნის განმახორციელებელი პერსონალის დასწრება შეფასების პროცესზე. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად აღნიშნული რეკომენდაცია იქნება სრულად გათვალისწინებული. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების ჩატარება ყველა იმ სასწავლო კურსში აუცილებელია, რომელთა სილაბუსების თანახმად აღნიშნული მეთოდი აღიარებულია და განსაზღვრული, როგორც შეფასების მეთოდი. როგორც ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი აღნიშნავს, დაწესებულებას ამასთან მიმართებაში აქვს შემდეგი პოზიცია, რომ ამ ეტაპზე ნაცვლად მათ მიერ დადგენილი 12 სადგურისა რიგ სასწავლო კურსებში მხოლოდ ოთხ ან ხუთ სადგურზე მოხდეს დავალებების მომზადება და გამოცდის უზრუნველყოფა, თუმცა პროგრამა აკრედიტებულია წარმოდგენილი სახით და კლინიკური საგნების უმეტესობაში გაწერილია დეტალურად, რომ 12 სადგურზე მოხდება სტუდენტების შეფასება. პროცესი ისევე უნდა მიდიოდეს, როგორც ეს არის დოკუმენტალურად. “OSCE“-ს ჩატარება უნდა ხდებოდეს ყველა იმ საგანში, რომლის სილაბუსითაც ის გათვალისწინებულია, როგორც შეფასების მეთოდი. ამასთან დაკავშირებით უნდა გაგრძელდეს ტრენინგები პერმანენტულ რეჟიმში, რათა იყოს უზრუნველყოფილი კლინიკური გამოცდების სწორად ჩატარება და კლინიკური უნარების რელევანტურად შეფასება. აღნიშნულ საკითზე მიღებულია დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, რომ ამას გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას სრულად იზიარებენ. გაკეთდა ახალი დებულება „OSCE“ ჩატარებისა და ორგანიზების შესახებ, სადაც განისაზღვრა თუ რამდენ სადგურზე უნდა მოხდეს სტუდენტის შეფასება. თუკი საბჭო ოთხი, ხუთი სადგურის ფარგლებში ჩათვლის „OSCE“ გამოცდის ჩატარებას, რა თქმა უნდა, ისინი გააგრძელებენ ისე როგორც საბჭო განუსაზღვრავს. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რა ვადებშიც მიმდინარეობს პროგრამა რაიმე დარღვევა ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა. 2022 წლის ივნისის თვეში ჩატარებულია სამი ტრენინგი „OSCE“-ს გამოცდის მიმართულებით. ინსტიტუცია ეთანხმება რეკომენდაციებს და მზაობა გამოთქვა მათ შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ხათუნა ყურადღება გაამახვილა 4.2 სტანდარტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება: „ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის OSCE ჩატარების წესების შესახებ ტრენინგები გაგრძელდეს პერმანენტულ რეჟიმში, რათა უზრუნველყოფილ იყოს OSCE გამოცდების სწორად ჩატარება და

სტუდენტის კლინიკური უნარების რელევანტურად შეფასება“. ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია, რომ დაწესებულება ატარებს ტრენინგებს და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაშიც აღწერილია, რომ 2022 წელს, 6 თვის ვადაში ჩატარებულია სამი ტრენინგი OSCE-ს ორგანიზაციისა და მართვის საკითხებზე. ხათუნა თოდაძემ მიმართა კითხვით ექსპერტებს, ხომ არ აჯობებდა რჩევის სახე ჰქონოდა ტრენინგების ჩატარებას და არა მკაცრი რეკომენდაციის სახე?

ექსპერტთა თავჯდომარემ ირინე ფხაკაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის მთავარია შედეგი. დაწესებულებისათვის მას რეკომენდაციის სახე ექნება თუ რჩევის სახე, შედეგი იგივე იქნება. შესაბამისად, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს იდეა ფიქსი უნდა იყოს. მისი რეკომენდაციის სახე განაპირობა იმან, რომ ერთია რა წერია და მეორეა, როგორ კეთდება.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას თუ როგორია მათი ხედვა „OSCE“ გამოცდებთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების OSCE ჩატარება უნდა განხორციელდეს ყველა იმ სასწავლო კურსში, რომელთა სილაბუსების თანახმად აღნიშნული მეთოდი განსაზღვრულია როგორც სტუდენტის შეფასების მეთოდი. ექსპერტები კი აღნიშნავენ, რომ პროცესი განსხვავებულად მიმდინარეობს, კერძოდ მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნული მეთოდით სტუდენტების ცოდნა შეფასდა მხოლოდ 3 სასწავლო კურსში.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის OSCE - ს კომიტეტიტს მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად OSCE-ს ყველა იმ სასწავლო კურსში, რომელიც ითვალისწინებდა OSCE-ს ჩატარებას 4-5 სადგურით, OSCE-ს კომიტეტის გარდამავალი დებულების მიხედვით: სასწავლო კურსები, რომლებშიც გათვალისწინებულია OSCE - ს ჩატარება და შეუძლებელია უნივერსიტეტის OSCE-ს კომიტეტის დებულებით განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნის შესრულება (OSCE-ს სადგურების რაოდენობა არ შეიძლება იყოს 12-ზე ნაკლები), OSCE - სთვის გათვალისწინებული დავალებები შესაძლებელია შეიცვალოს სხვა სახის გამოცდით. შესაბამისად, იმ სასწავლო კურსებში, სადაც ინსტიტუციამ არ გამოიყენა OSCE-ს გამოცდის სახით შეფასების მეთოდი, სტუდენტი მაინც გადის სწავლის შედეგზე, რადგან ზემოთ მოცემული გარდამავალი დებულების საფუძველზე, OSCE- ს გამოცდა შეიცვალა სხვა სახის გამოცდით, სიტუაციური ამოცანის ან კლინიკური შემთხვევის ანალიზის მეთოდით.

ხათუნა თოდაძემ დააზუსტა, თუ რომელი კლინიკური საგნების საბოლოო შეფასება ითხოვდა „OSCE“-ს გამოცდას?

ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ საბოლოო გამოცდების 40 ქულიან კომპონენტში 20 ქულით ფასდებოდა „OSCE“-ს გამოცდა, „OSCE“-ს გამოცდა ტარდება შემდეგ კლინიკურ საგნებში: ქირურგია, გინეკოლოგია, პულმუნოლოგია და კარდიოლოგია. ამ საგნებში გათვალისწინებული იყო ოთხ-ხუთ სადგურიანი „OSCE“-ს გამოცდა..
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ OSCE-ს გამოცდასთან მიმართებით მიდგომები იყო შეცვლილი, კერძოდ, ტარდება შუალედური „OSCE“-ს გამოცდა უშუალოდ კლინიკურ ჩვევებთან დაკავშირებულ საგნებზე და „საბოლოო OSCE-ს“ გამოცდა სადგურებზე ცალ-ცალკე. მაგალითად ქირურგიის სადგური, ფსიქიატრიის სადგური, კარდიოლოგიის სადგური და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, ვერავინ ვერ შეცვლის იმას, რომ „OSCE“ ვალიდურია სწორად განხორციელების შემთხვევაში იმიტომ, რომ ცვლილებები ამცირებს მის ვალიდურობას და „OSCE“ სადგურების რაოდენობა ზუსტად გამოცდის სანდოობას ასახავს. უხერხული იქნება ის, რომ საბჭომ მისცეს თანხმობა ოთხ ან ხუთ სადგურზე. აღნიშნავს, ასევე, იმასაც, რომ „OSCE“ არის ბიუჯეტური იმიტომ, რომ ამას უცხოელებიც აღიარებენ. არ არის აუცილებელი, რომ ყველა საგანში იყოს „OSCE“-ს გამოცდა. შეიძლებოდა იმ საანგარიშო პერიოდში სწორი თვითშეფასებისთვის მომხდარიყო ადაპტაცია კლინიკური კურსებისა და სიალაბუსების. შემცირებულიყო იმ კურსების რაოდენობა, რომელსაც კლინიკური გამოცდა სჭირდება, როგორც დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:18
დასრულების დრო: 17:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს 60 დღიანი ვადა ოქმში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებით მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც მოცემულია ოქმში.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის სწორად ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით რეკომენდირებულია დეტალურად სტრუქტურირებული დავალებების შემუშავება, OSCE ცალკეულ სადგურებზე თანაბარი სიძლიერის გათვალისწინებით, რაზეც დაიხარჯება თანაბარი დრო, შეფასების ფურცლების „ჩექლისტების“ დახვეწა და სრულყოფა, დამკვირვებლების გადამზადება და სადგურებზე სტუდენტის შეფასებაში განმახორციელებელი პედაგოგების მონაწილეობის პრაქტიკის აღმოფხვრა.
2. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების OSCE ჩატარება ყველა იმ სასწავლო კურსში, რომელთა სილაბუსების თანახმად აღნიშნული მეთოდი განსაზღვრულია როგორც სტუდენტის შეფასების მეთოდი.
3. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის OSCE ჩატარების წესების შესახებ ტრენინგები გაგრძელდეს პერმანენტულ რეჟიმში, რათა უზრუნველყოფილ იყოს OSCE გამოცდების სწორად ჩატარება და სტუდენტის კლინიკური უნარების რელევანტურად შეფასება.

რჩევები:

1. სასურველია, ქართული ენის სწავლების გაძლიერება მინიმუმ 12 კრედიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

2. სასურველია, პროგრამაში კლინიკური კურსების ინტეგრაციის მიღწევა, ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდა.

3. კლინიკური კურსების სრულყოფილად განხორციელებისა და ეფექტური აღრიცხვის მიზნით, სასურველია კურსების განმახორციელებლებს მიეწოდოთ აღრიცხვისა და შეფასების ერთნაირი (დადგენილი წესის მიხედვით) ფორმები, რათა მათი წარმოების დროს ჯეროვნად იყოს ასახული კლინიკურ ბაზაზე პრაქტიკის ვადების ხანგრძლივობა და სხვა მახასიათებლები.

4. სასურველია, ინტეგრირებულ მოდულებში სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდეს ინტეგრირებული დავალებებით, სტუდენტის შეფასების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნას უკანასკნელთა სპეციფიკა, რაც აღმოფხვრის შეფასებების უნიფიცირების შემთხვევებს.

5. სასურველია, გადაიხედოს ინტეგრირებულ მოდულებში შემავალი ცალკეული კურსების ბარიერები (5 ქულიდან ბარიერი 3 ქულა), რაც აღემატება სასწავლო კურსისათვის დადგენილ ბარიერებს, კერძოდ, მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტს.

8.მერვე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესსრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 3 სექტემბერი, # 855927
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	პირველი ციკლი - მე-6 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა თეა მჭედლურმა,ანზორი ბერიძემ,ნინო ჭალაგანიძე და თამარ სირაძემ
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი რომეო გალდავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, აკრედიტაციის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ შესრულებული იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულება. ცვლილებები აისახა სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში. დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილია ანგარიშებთან ერთად დანართის სახით.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:52
დასრულების დრო: 18:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მათემატიკის” საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესსრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიღების საკითი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მათემატიკის” საბაკალავრო

საგანამანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესსრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული;

9. მეცხრე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.08.2021; N838496
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

აცილება განაცხადა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა,ლევან მოსახლიშვილმა და გურანდა ჭელიძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მაგდა ცინცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამას განსაზღვრული ჰქონდა 9 რეკომენდაცია და 16 რჩევა. სრულად შესრულებულია 6 რეკომენდაცია, ხოლო 3 ნაწილობრივ. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ პროგრამის მიზნები ინგლისურ და ქართულ ვარიანტში ჩასწორდეს და გახდეს იდენტური: ამოღებული იქნას ქართულენოვან ვარიანტში ზედმეტი სიტყვები და დაზუსტდეს ცოდნის დონე. ნაწილობრივ იმიტომ იქნა დაკმაყოფილებული, რომ IT (Information Technology) ჩანაცვლდა CS (Computer Science). ნაწილობრივი შესრულება არის კონკრეტულ პროგრამის სტრუქტურის შინაარსზეც, რომელიც ეხებოდა პროგრამირების ენების თეორიის საკითხების გათვალისწინებას. შესაბამისად, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ იმიტომ, რომ პროგრამას არჩევით საგნად დაემატა გარკვეული შინაარსის მქონე სასწავლო კურსი სახელწოდებით "კომპილატორები". საგანს, „მონაცემთა ანალიზს" სახელი გადაერქვა და ის მათემატიკური აპარატი, რომელზეც იყო თავის დროზე რეკომენდაცია, რომ ამ კურსში უნდა ისწავლებოდეს, აქ უკვე აღარ გვხვდება. ამიტომაც დაკმაყოფილდა ნაწილობრივ ეს რეკომენდაცია. დანარჩენი რეკომენდაციები შესრულებულია და გათვალისწინებული ინსტიტუციის მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ 3 რეკომენდაცია შეფასებული ნაწილობრივ შესრულებულად. პირველი რეკომენდაცია ეხება მიზნის ფორმულირების საკითხს ქართულ და ინგლისურ ვარიანტის თანხვედრაში მოყვანის თვალსაზრისით. ინგლისური ვარიანტიდან მოხდა სიტყვა „ინტერდისციპლინურის" ამოღება. ჩასწორება მოხდა ქართულ ვერსიაშიც, სადაც ეწერა „პროფესიული განვითარება" და ჩაიწერა „პროფესიული საქმიანობა". მოხდა მათი დადარება. იგი, ასევე, ხაზს უსვამს იმასაც, რომ არის შემთხვევები, როდესაც არ ჯდება ერთ-ერთში თარგმანი ქართულისა და ინგლისურის, მაგრამ მაინც გარკვეულწილად თანხვედრაშია ერთმანეთთან. რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, ის შეფასდა ნაწილობრივ შესრულებულად იმიტომ, რომ საგანი არჩევით კურსად დაემატა და არ მოხდა მისი სავალდებულო საგნად დამატება. ვინაიდან ეს პროგრამა არის ახალი და პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა, პირველ ეტაპზე სტრუქტურული ცვლილებებისგან თავს იკავებს ინსტიტუცია მანამ, სანამ არ დააკვირდებიან მიმდინარე პროცესებს და არ მოხდება შედეგების გაანალიზება. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის ცვლილება ცვლის სტრუქტურას იმიტომ, რომ სხვა კომპონენტი უნდა გადავიდეს არჩევითში ან შემცირდეს კრედიტების რაოდენობა. როგორც ინსტიტუციის წარმომადგენელი აღნიშნავს, პირველ ეტაპზე ახალი სასწავლო კურსი შეაქვთ არჩევით საგნად, ხდება დაკვირვება იმაზე, თუ რამდენად იქნება არჩეული სტუდენტების მიერ, როგორ განვითარდება პროცესი და შემდგომ მოხდება

მისი განხილვა გადავა თუ არა ის სავალდებულო კომპონენტში. თუმცა დღეს ეს საგანი არჩევითია და არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში ისევ არჩევითად დარჩება და არ გადავა სავალდებულო კომპონენტში. როგორც შოთა ნიჟარაძე აღნიშნავს, პროგრამაში კომპილატორები ინტეგრირდა და მათი დამატება შემდეგი სემესტრიდან მოხდება. რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას იგი აღნიშნავს, რომ დისკუსიის საგანი გახდა იმ მიზეზით, რომ ამ საგანს „მონაცემთა ანალიზი“ ერქვა, მაგრამ შინაარსობრივად ეს იყო „მონაცემთა დამუშავება“. იყო საუბარი იმაზეც, რომ დანერგილიყო „მონაცემთა ანალიზი“ და შემოღებულიყო ზედა კურსებზე. ამ ეტაპზე ინსტიტუციამ თავი შეიკავა მე-5 რეკომენდაციის მეორე კომპონენტის შესრულებაზე და მიღებული იქნა როგორც რჩევა. შემდეგი აკადემიური წლის დაწყებამდე კიდევ ერთხელ მოხდება ამის განხილვა, გაანალიზება და თუ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მივა იმ დასკვნამდე, რომ მეორე კომპონენტიც უნდა შესრულდეს, ასეც მოხდება.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ინსტიტუციას მიმართა კითხვით თუ რამდენი დრო სჭირდება მე-5 რეკომენდაციის მეორე კომპონენტის შესრულებას?

დაწესებულება პასუხობს, რომ განსაკუთრებული დრო ამის შესრულებას არ სჭირდება. ეს შეიძლება იყოს ერთი სემესტრი. არის ქართულენოვანი პროგრამა, რომელზედაც ხორციელდება ეს კურსი, მაგრამ ინგლისურ პროგრამაზე არ არის ზედა კურსები იმიტომ, რომ ახალია. ჯერ არ არის სტუდენტი, რომელიც მოითხოვს ამ საგანს.

დიანა მჭედლიშვილი აღნიშნავს, რომ სავალდებულო კომპონენტის ნაწილში აუცილებელია კორექტირება. აღნიშნული სტრუქტურით და შინაარსით ეს პროგრამა გადის სწავლის შედეგებზე, რომელიც განსაზღვრული იყო პროგრამით და დამტკიცებული საბჭოს მიერ. პირველ ეტაპზე სავალდებულო კომპონენტის ცვლილება არ არის მიზანშეწონილი იმიტომ, რომ ჯერ არჩევითი კურსის შეთავაზებით მოხდება დაკვირვება თუ რამდენად აირჩევენ სტუდენტები და როგორ უკუკავშირს მიიღებს დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ეს არის დროის ფაქტორზე დამოკიდებული. თუ დარგობრივ ნაწილში ეს წაადგება სტუდენტს, აუცილებლად მოხდება მისი განხორციელება. ინსტიტუცია ფიქრობს, რომ კომპილატორების საგანი აუცილებელია, მაგრამ რეკომენდაციაში ეს საგანი არ ეწერა სავალდებულო საგნად, არამედ ეწერა რომ უნდა დაემატოს. აქამდე ეს საგანი არ იყო ამ პროგრამაში და ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანია, რომ საგანი იყოს განხორციელებული მაღალ დონეზე. უნივერსიტეტში არის ასეთი პრაქტიკა, რომ ჯერ შემოდის საგანი არჩევითად და შემდეგ ხდება სავალდებულო. რაც შეეხება მონაცემთა ანალიზს, დაწესებულება ამბობს, რომ მოხდა “Python”-ი ორის დამატება, სადაც მთელი მოდული მონაცემთა ანალიზს წარმოადგენს. წელს მოხდა მისი არჩევით საგნად შეტანა და შემდეგ წელს მოხდება აუცილებელ საგნად დამატება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:07
დასრულების დრო: 18:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული;

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 30 სექტემბერს, 18:35 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით